

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 52

ქ.თბილისი

2021 წლის 28 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 28 მაისს. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ტ. მარგველაშვილის ოქმი, ამა წლის 27 მაისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გასამართ მატჩზე, თერჯოლის „ციცქა“-სა და ბათუმის „ბათუმი 3“-ს შორის, თერჯოლის „ციცქა“-ს არგამოცხადების შესახებ .

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. მატჩი არ შედგა თერჯოლის „ციცქა“-ს გამოუცხადებლობის გამო.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11, სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1 -ს 1.11 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თერჯოლას „ციცქა“-ს ჩაეთვალოს წაგება დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. ბათუმის „ბათუმი 3“ -ს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
3. კლუბის მიერ ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში არ გადახდის შემთხვევაში, ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.11 პუნქტი და თერჯოლას „ციცქას“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/